მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი №1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით მდებარე ტერიტორიაზე ასევე ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2), სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) და სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) გავრცელება (საერთო ფართობი: 438 623 კვ.მ.).

წარმოდგენილ წინადადებასთან დაკავშირებით სხდომაზე აღინიშნა, რომ მისამართის მითითებისას დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რადგან ე.წ. „აფრიკა“ არ არის ტერიტორიის ოფიციალური მისამართი. ოფიციალურად აღნიშნული ტერიტორია შედის ქვემო სამგორის საუბნო და სამგორის რაიონულ საზღვრებში. ხოლო საჯარო რეესტრის 2019 წლის 31 იანვრის ამონაწერის თანახმად, №01.19.23.016.643 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მისამართია: ქალაქი თბილისი, კორნელი სანაძის ქუჩა №14ა.

კომისიის წევრებმა დამატებითი ინფორმაცია ცნობად მიიღეს.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №19-01182342116-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, ვაზისუბანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.06.014.002) დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი №1) განსაზღვრული ზონირების გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, ასევე ხორციელდება მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება ძირითადი რუკით (დანართი №1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6), საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და ზოგადი საცხოვრებელი ზონით (სზ) (საერთო ფართობი: 122 339 კვ.მ.).
- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №19/01191583535-01 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, გლდანის VIII მიკრორაიონში, კორპუსი №33-ის მიმდებარედ (გლდანის ტბის მიმდებარედ) არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.10.001.426) ნაწილზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი №1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) გავრცელება (საერთო ფართობი: 186 კვ.მ.).

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №19-01182341000-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ზემო უბნის ტერიტორიაზე არსებულ №01.72.14.002.392, №01.72.14.002.507 და №01.72.14.002.551 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარედ არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული ტერიტორიების რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი №1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის გავრცელება (საერთო ფართობი: 382 671 კვ.მ.).
- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №19-01182411319-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში არსებულ №72.16.09.832, №72.16.09.835, №72.16.09.206 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარედ არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გამწვანებული რუკით (დანართი №1.8) შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ცვლილება და ძირითადი რუკით (დანართი №1) განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება (საერთო ფართობი: 548 026 კვ.მ.).
- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - №17-01192662454-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, გმირ კურსანტების ქუჩის I შესახვევის №1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.013.057) დედაქალაქის გენერალური გეგმის ძირითადი რუკითა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) (ცვლილების ფართობი: 5506 კვ.მ.).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №19-01183172801-67, №19-01182342116-67, №19/01191583535-01, №19-01182341000-67, №19-01182411319-67, №17-01192662454-67 განცხადებებთან (სულ: 6 განაცხადი) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დობტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 21 იანვრის №12-0320021125-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №19-01183172801-67, №19-01182342116-67, №19/01191583535-01, №19-01182341000-67, №19-

01182411319-67, №17-01192662454-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი, კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

შენიშვნა: სხდომის დატოვების გამო, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო კომისიის წევრმა ლ. ხაბეიშვილმა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 21 იანვრის №12-0320021125-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №19-01183172801-67, №19-01182342116-67, №19/01191583535-01, №19-01182341000-67, №19-01182411319-67, №17-01192662454-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 23 იანვრის №12-03200238-03 წერილი)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ჯ. ყანდარელმა.

მომხსენებლის (ჯ. ყანდარელი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის

საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 15 იანვრის №20.29.25 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01193302194-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - №01193302194-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ერმილე ბედიას ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.14.01.007.003) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. 2019 წლის 22 ოქტომბრის №16-01192951142 წერილის შესაბამისად, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მიერ შეთანხმებულია მოძრაობის ორგანიზების სქემა. ზემოაღნიშნული მოძრაობის სქემის შესაბამისად, №01.14.01.007.003 საკადასტრო ერთეულზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ნაწილი, რომელზეც მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება, არ მოიაზრება სქემის შემადგენელ ნაწილად. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) №01.14.01.007.020 საკადასტრო ერთეულის ნაწილზეც, ვინაიდან, აღნიშნული წარმოდგენს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს და ფაქტობრივი მდგომარეობით არ წარმოდგენს გზას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ერმილე ბედიას ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.14.01.007.003) და ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, I მიკრორაიონი, კორპუსი №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.01.007.030) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება (ცვლილების საერთო ფართობი: 103კვ.მ.) მიზანშეწონილია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01193302194-67 განცხადებასთან (სულ: 1 განაცხადი) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დობტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 23 იანვრის №12-03200238-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება -

№01193302194-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

შენიშვნა: სხდომის დატოვების გამო, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო კომისიის წევრმა ლ. ხაბეიშვილმა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 23 იანვრის №12-03200238-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01193302194-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 23 იანვრის №12-03200239-03 წერილი)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ჯ. ყანდარელმა.

მომხსენებლის (ჯ. ყანდარელი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე გენერალური გეგმით განსაზღვრულ ძირითად ზონირებასთან ერთად გავრცელდა გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ზონირებაც. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა ერთვის თბილისის მიწათსარგებლობის ძირითად ნახაზს დანართი №1.8-ის სახით და წარმოადგენს თბილისის დაგეგმარების გამწვანებული ტერიტორიების რუკას. თბილისის

გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი ზონები და ქვეზონები ატარებს ოპერატიულ ინფორმაციას თბილისში არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და მისი გათვალისწინება სავალდებულოა სამშენებლო და გეგმარებითი ნებართვების გაცემის პროცესში. თუმცა, რიგ შემთხვევებში, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ზონირება არ ასახავს ზუსტ ინფორმაციას არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და ზღუდავს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის (მომხსენებელი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 15 იანვრის №20.21.52 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - №19/01192182276-67; №0120003421-67).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი - №19/01192182276-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.136.063-ის მიმდებარედ) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 2 173 კვ.მ.).
- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი - №0120003421-67 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა №15ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.04.030.045) სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) (ცვლილების ფართობი: 2001 კვ.მ.).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №19/01192182276-67; №0120003421-67 განცხადებებთან (სულ: 2 განაცხადი) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დობტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 23 იანვრის №12-03200239-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №19/01192182276-67; №0120003421-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

შენიშვნა: სხდომის დატოვების გამო, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო კომისიის წევრმა ლ. ხაბეიშვილმა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 23 იანვრის №12-03200239-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №19/01192182276-67; №0120003421-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 23 იანვრის „1)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ჯ. ყანდარელმა.

მომხსენებლის (ჯ. ყანდარელი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე გენერალური

გეგმით განსაზღვრულ ძირითად ზონირებასთან ერთად გავრცელდა გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ზონირებაც. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა ერთვის თბილისის მიწათსარგებლობის ძირითად ნახაზს დანართი №1.8-ის სახით და წარმოადგენს თბილისის დაგეგმარების გამწვანებული ტერიტორიების რუკას. თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი ზონები და ქვეზონები ატარებს ოპერატიულ ინფორმაციას თბილისში არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და მისი გათვალისწინება სავალდებულოა სამშენებლო და გეგმარებითი ნებართვების გაცემის პროცესში. თუმცა, რიგ შემთხვევებში, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ზონირება არ ასახავს ზუსტ ინფორმაციას არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და ზღუდავს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 22 იანვრის №20.71.85 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - №19/01191702725-67; №01193502232-67; №01193431980-67).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი - №19/01191702725-67 განცხადებით მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.00.512). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, ფუნქციური ზონის ცვლილება ხორციელდება მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზეც (საკადასტრო კოდები: №81.02.02.665, №81.02.02.873, №81.02.02.396, №81.02.33.123, №81.02.33.038, №81.02.02.412, №81.02.02.901). ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონაც (რზ) (ცვლილების ფართობი: 7 370 კვ.მ.).
- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი - №01193502232-67 განცხადებით მოთხოვნილია მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-

ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.011.096). ცვლილებას ექვემდებარება საპროექტო მიწის ნაკვეთის ნაწილზე არსებული გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-იც (რზ-2) (ცვლილების ფართობი: 4 213 კვ.მ.).

- ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი - №01193431980-67 განცხადებით მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური გამწვანების ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 3-ისა (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება ქალაქ თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა №48-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.009.094). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ინიციატივით, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური გამწვანების ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 3-ისა (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება ხორციელდება მიმდებარედ არსებულ საკადასტრო ერთეულებზეც (საკადასტრო კოდები: №01.14.05.009.059, №01.14.05.009.068, №01.14.05.009.093, №01.14.05.009.087, №01.14.05.009.100, №01.14.05.009.062, №01.14.05.009.104, №01.14.05.009.120, №01.14.05.009.121) (ცვლილების ფართობი: 2 849 კვ.მ.).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №19/01191702725-67; №01193502232-67; №01193431980-67 განცხადებებთან (სულ: 3 განცხადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დობტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 23 იანვრის №12-0320023162-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №19/01191702725-67; №01193502232-67; №01193431980-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

შენიშვნა: სხდომის დატოვების გამო, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო კომისიის წევრმა ლ. ხაბეშვილმა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 23 იანვრის №12-0320023162-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №19/01191702725-67; №01193502232-67; №01193431980-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 23 იანვრის №12-0320023163-03 წერილი)

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ჯ. ყანდარელმა.

მომხსენებლის (ჯ. ყანდარელი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 22 იანვრის №20.70.86 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - №01193602137-67; №01200173323-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - №01193602137-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ზემო ვაკეში, ზემო ვაკის ქუჩა №26-ის მიმდებარედ, ზემო ვაკის ქუჩა №16ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.02.058.079) ნაწილზე (ცვლილების

ფართობი: 184 კვ.მ.) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ცვლილება და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 27 დეკემბრის №01193611460 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენის (ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა) მოხსნა.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01200173323-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელი ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.006.273, №01.10.18.006.274, №01.10.18.006.270, №01.10.18.006.271) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.006.197, №01.10.18.006.142) საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული, საბავშვო ბაღი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის №414 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. აღნიშნულის გათვალისწინებით, №01.10.18.006.273, №01.10.18.006.274, №01.10.18.006.270, №01.10.18.006.271 საკადასტრო ერთეულებზე ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მიზანშეწონილია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01193602137-67; №01200173323-67 განცხადებებთან (სულ: 2 განაცხადი) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დობტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 23 იანვრის №12-0320023163-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01193602137-67; №01200173323-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი, კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

შენიშვნა: სხდომის დატოვების გამო, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო კომისიის წევრმა ლ. ხაბეიშვილმა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კანა კალაძის მიერ 2020 წლის 23 იანვრის №12-0320023163-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01193602137-67; №01200173323-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მერვე (მომდინარე) საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (წერილი №12-031931141-03 07.11.2019წ. - დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული №19/01191072141-61 განცხადება)

დღის წესრიგის მერვე (მომდინარე) საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ჯ. ყანდარელი.

საკითხის განხილვამდე აღინიშნა, რომ 2019 წლის 20 ნოემბრის კომისიის სხდომაზე (ოქმი №52) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული იქნა ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.03.12.428) სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის) ცვლილების საკითხი (განცხადება №19/01191072141-61).

მომხსენებლის (ჯ. ყანდარელი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №19/01191072141-61 განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე

(საკადასტრო კოდი: №81.03.12.428) სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც (ცვლილების ფართობი: 1 799 კვ.მ.).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №19/01191072141-61 განცხადებასთან (სულ: 1 განცხადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დობტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 7 ნოემბრის №12-031931141-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თანდართული ქალაქ თბილისის მთავრობის 1-ლი ნოემბრის №19.1165.1465 განკარგულების „ტ“ პუნქტით (თანდართული ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „22“ პუნქტით) გათვალისწინებული №19/01191072141-61 განცხადების (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

შენიშვნა: სხდომის დატოვების გამო, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო კომისიის წევრმა ლ. ხაბეიშვილმა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 7 ნოემბრის №12-031931141-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თანდართული ქალაქ თბილისის მთავრობის 1-ლი ნოემბრის №19.1165.1465 განკარგულების „ტ“ პუნქტით

(თანდართული ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „22“ პუნქტით) გათვალისწინებული №19/01191072141-61 განცხადების (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დობტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



გიორგი დობტურიშვილი